# ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**საქართველოს სსრ № 688 რუსთავის საარჩევნო ოლქში კავშირის საბჭოს დეპუტატის არჩევნების დღის შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 108-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ № 688 რუსთავის საარჩევნო ოლქში კავშირის საბჭოს დეპუტატის არჩევნები დაინიშნოს კვირას, 1976 წლის 12 სექტემბერს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1976 წლის 28 ივლისი.

# ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**საქართველოს სსრ № 172 ზუგდიდის საარჩევნო ოლქში ეროვნებათა საბჭოს დეპუტატის არჩევნების დღის შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 108-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ № 172 ზუგდიდის საარჩევნო ოლქში ეროვნებათა საბჭოს დეპუტატის არჩევნები დაინიშნოს კვირას, 1976 წლის 12 სექტემბერს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1976 წლის 28 ივლისი.

# ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ**

ხანძრის დროს მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის":
1. კოხტონი ვიქტორ ივანეს-ძე — ზუგდიდის სახეობო ქარხნის მუშა.
2. კოხტონი ვლადიმერ ივანეს-ძე — წალენჯიხის სახეობო ქარხნის მუშა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1976 წლის 24 ივლისი.

**„კომუნისტის" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ**

## ჩამორჩენა რომ დავძლიოთ

**„კომუნისტის" რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

„კომუნისტის" 15 ივნისის ნომერში დაიბეჭდა რეიდი სათაურით „ჩამორჩენა რომ დავძლიოთ", რომელშიც მხილებული იყო ზუგდიდის რაიონის ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში არსებული ნაკლოვანებები.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რედაქციას აცნობა, რომ რეიდში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით „კომუნისტის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ რეიდის მასალებში აღნიშნული ნაკლოვანებების დროულად გამოსწორება დაევალა ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს. ამასთან მხედველობაშია მიღებული ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის ა. კუტალიას ცნობა, რომ მხილებული ნაკლოვანებების მეტი წილი რეიდის დაბეჭდვის შემდეგ გამოსწორდა და შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 400 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოიკრიფა.

## „აშენეს და ინგრევა"

**რედაქციას უპასუხებს ტრესტ „ინშმშენის" პარტიული კომიტეტი**

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა მამხილებელი წერილი. მასში გაკრიტიკებული იყვნენ მშენებლები, რომლებმაც მირცხულავას ქუჩაზე საცხოვრებელი სახლი მეტად უხარისხოდ ააგეს.

ამის გამო ტრესტ „ინშმშენის" პარტიული კომიტეტის მდივანი ვ. ხიდაშელი რედაქციას აცნობებს, **რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.**

წერილი ტრესტის პარტიულმა კომიტეტმა განიხილა გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ქალაქის საბჭოს აღმასკომის ხეტყის დამამუშავებელი კომბინატის წარმომადგენლები.

მირცხულავას ქუჩა №3-ა საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე დარღვევებისათვის № 4 სამმართველოს უფროსი გ. კოტარია და პარტიული ბიუროს მდივანი რ. ებრალიძე მკაცრად არიან გაფრთხილებული, სამმართველოს მთავარ ინჟინერს თ. ჯაფარაშვილს ტრესტის ადმინისტრაციამ საყვედური გამოუცხადა, ხოლო უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ზ. ცინცაძე სამი თვით გადაყვანილია უფრო დაბალი თანამდებობის სამუშაოზე.

პარტიულმა კომიტეტმა ხე-ტყის დამამუშავებელი კომბინატის ხელმძღვანელებთან ერთად დასახა ქმედითი ღონისძიებები შესრულებელი სამუშაოს ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

## ოცდამერვე ჩირაღდანი

თერჯოლა. (საქ. კორ.). გუშინ აქ საქართველოს რიგით 28-ე რაიონულ ცენტრში აინთო ბუნებრივი გაზის ჩირაღდანი. ამ საზეიმო შეკრებაზე დაბა თერჯოლისა და მახლობელი სოფლების მრავალი მცხოვრები შეიკრიბა.

თერჯოლის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ბუჯიაძემ მიტინგის მონაწილეთა სახელით მადლობა გადაუხადა საქართველოს გაზიფიკატორებს, რომლებმაც გეგმის ზევით, ახალი დაფინანსების გამოყოფის გარეშე ააშენეს 3 კილომეტრი გაზსადენი, წნევის მარეგულირებელი სადგური, ოპერატორების სახლი და გაზმარეგულირებელი პუნქტი.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ თერჯოლის ღვინის კომბინატის დირექტორი თ. ქარქაშაძე, დიასახლისი ნ. ხუჯაძე, ბიბლიოთეკარი თ. ფანცულაძე, საქმთავარგაზის სამმართველოს უფროსი გ. ბარბაქოვი, პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი ა. ბურჯანაძე, პერსონალური პენსიონერი ვლ. ბუსკივაძე, მწერალი გ. ფანჯიკიძე.

სამუშაოები მაღალხარისხოვნად შეასრულეს მთავარგაზის ქუთაისის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს (უფროსი დ. გელბახიანი) და ზესტაფონის № 11 გაზის ტრესტის (მმართველი ვ. ებანოიძე) კოლექტივებმა.

## ივანე ჯავახიშვილის იუბილეს გამო

გაიმართა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავის მომწყობი მთავრობის საიუბილეო კომისიის მორიგი სხდომა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა მთავრობის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ი. ვეკუამ. სხდომაზე განიხილეს საიუბილეო ღონისძიებათა საკითხები.

გადაწყდა, მიმდინარე წლის 13-14 ოქტომბერს მოეწყოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია. 15 ოქტომბერს საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართება დიდი საიუბილეო საღამო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეუდგა ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა 15-ტომეულის გამოცემას. პირველ ტომს მკითხველნი მიიღებენ მეცნიერის იუბილესათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი გამოსცემს ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერას, ხოლო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკა მისი შრომების სრულ ბიბლიოგრაფიულ ნუსხას.

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოიცემა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. სურგულაძის შრომა „ივანე ჯავახიშვილი". მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნება პროფესორ ს. ჯორბენაძის მონოგრაფია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი მეცნიერის დაბადების ასი წლისთავს უძღვნის საიუბილეო კრებულს, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი — შრომების სპეციალურ ტომს და გამოსცემს ი. ჯავახიშვილის ცხოვრების, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და მეცნიერული მემკვიდრეობის შესახებ.

(საქინფორმი).

**საქართველოს მთა-ბარში**

# ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

## ლიბანი: ახალი შეტაკებანი

ბეირუთი, (საკდესი). განვლილ დღე-ღამეში ლიბანში არ მომხდარა რაიმე არსებითი ცვლილება. გასულ კვირაში მიღწეული 53-ე შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ჩაშალეს მემარჯვენე ქრისტიანულმა ძალებმა, და შეიარაღებული შეტაკებები გრძელდებოდა ბეირუთსა და ქვეყნის სხვა რაიონებში.

მემარჯვენეებმა 26 ივლისს რამდენჯერმე მიიტანეს იერიში ბეირუთის ნაბაას რაიონზე, არტილერიის ინტენსიური ცეცხლი დაუშინეს მას. ეროვნულ-პატრიოტული ძალებისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის რაზმებმა მოიგერიეს შეტევა.

მემარჯვენე ძალებმა კვლავ დაუშინეს მძიმე ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლი ბეირუთის დასავლეთ რაიონის მჭიდროდ დასახლებულ უბნებს. ნაღმები და ჭურვები ფეთქდებოდა დედაქალაქის ამ რაიონის საცხოვრებელ უბნებში. მშვიდობიან მცხოვრებლებს შორის არიან დახოცილნი და დაჭრილნი.

ზედიზედ ექვსი კვირაა გრძელდება მემარჯვენე ძალების მიერ პალესტინელ ლტოლვილთა ბეირუთის ბანაკის ტელ-ზაატარის ბლოკადა და შტურმი, რომლის მამაცი დამცველები, უდიდესი სიძნელეებისა და გაჭირვების, ასობით დახოცილისა და დაჭრილის მიუხედავად, თვითეული სახლისათვის თავგანწირულად იბრძოდნენ არსებული ცნობებით იმის შედეგად, რომ მემარჯვენეებმა ბარბაროსულად დაუშინეს არტილერიის ცეცხლი ერთ-ერთ თავშესაფარს, დაიღუპა იქ მყოფი 500 კაცი.

რადიოსადგური „პალესტინის ხმა" იუწყება, რომ ტელ-ზაატარის ბანაკისათვის ბრძოლების მთელ პერიოდში ამ ბანაკს ესროლეს 45 ათასი ყუმბარა და მილიონი ტყვია.

27 ივლისს დილით ბეირუთიდან ამერიკის მე-6 ფლოტის სატრანსპორტო-სადესანტო გემით გაიხიზნეს 200-მდე ამერიკელი მოქალაქე.

პარიზი, (საკდესი). ნატო უკვე დიდი ხანია აწვდის იარაღს მემარჯვენე ძალებს ლიბანში.

იუწყება რა ამას, გაზეთი „ორორი" წერს: ორნახევარი თვის განმავლობაში ნატოს ხმელთაშუა ზღვის ფლოტის ხომალდები რეგულარულად ახორციელებენ რეისებს კვიპროსსა და ლიბანს შორის, გადააქვთ იარაღი ფალანგისტებისათვის, ამ იარაღს კრეისერებიდან და სესკადრო ნაღმოსნებიდან, რომლებიც ლიბანის ჯუნიის ნავსადგურის რეიდზე დგანან, ტვირთავენ ფალანგისტთა ბრტყელძირიან პატარა გემებზე და ნაპირზე გადააქვთ. ჯუნიაში გადმოტვირთულ ყუთებში არის დასავლეთ გერმანიის არსენალებიდან წამოღებული ნაღმსატყორცნები და ტყვიამფრქვევები. ამ იარაღს უკვე აქვს თავისი ისტორია: ორი წლის წინათ კვიპროსში მთავრობის საწინააღმდეგო ამბოხების დროს იგი ნიქოზიაში ხაიტანეს „საჰაერო ხიდით".

ის როგორც ამარაგებენ, დასავლეთის გაზეთი, ლიბანის მემარჯვენე ქრისტიანულ ძალებს უაღრესი საიდუმლოების ვითარებაში იარაღით ნატოს ფლოტის დახმარებით.

**სიახლეები**

## ტელეტაიპის ლენტიდან

**მოკლედ**

● კოპენჰაგენი. მიმდინარე წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში დანიის სავაჭრო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტმა 9.350 მილიონი კრონი შეადგინა. ეს თითქმის სამჯერ მეტია გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით.

● ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო გეგმავს 1977 წლის სამხედრო ბიუჯეტის გადიდებას თითქმის ერთი მილიარდი მარკით. როგორც სამხედრო ჟურნალი „ვერდინსტი" იუწყება, გაიზრდება აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში საჭურვლის შესყიდვის ხარჯები.

● დელი. ინდოეთი აწარმოებს 1.000-ზე მეტი სახეობის ჩაის, რომელიც მსოფლიოს 80 ქვეყანაში გააქვთ. 1975-76 საფინანსო წელს ჩაის ექსპორტმა სახელმწიფოს მოუტანა 2,4 მილიარდი რუპია შემოსავალი, ხოლო მისი წარმოება 490 ათას ტონამდე გაიზარდა. ინდური ჩაის ყველაზე დიდი მომხმარებელია თვით ინდოეთი. ქვეყანაში წარმოებული ჩაის 50 პროცენტზე მეტი შინაურ ბაზარზე გადის.

● ვაშინგტონი. ამერიკის ნავთობის მონოპოლიებმა ოფიციალური დასტური მიიღეს თავიანთი პროდუქციის ფასების ახალ მომატებაზე. ფედერალურმა ენერგეტიკულმა კომისიამ თითქმის ერთიანად გაადიდა იმ ფასებს „ზღვარი", რომლებიც მონოპოლიებს შეუძლიათ გადაახდევინონ ბუნებრივი გაზის მომხმარებლებს.

ეკონომისტთა წინასწარი გაანგარიშებით, გაზის ფასების მიმართ ფედერალური კონტროლის ეს მკვეთრი შესუსტება დამატებით 1,5 მილიარდი დოლარი დაუჯდება ამერიკელ მომხმარებლებს უახლოესი 12 თვის განმავლობაში.

## გულისწყრომით გმობენ

**მოითხოვენ ჩილეში სისხლიანი ტერორის შეწყვეტას**

**მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა გადაჭრით მოითხოვს შეწყდეს სისხლიანი ტერორი ჩილეში, გაათავისუფლონ ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი და სხვა პატრიოტები, რომლებიც ფაშისტური ხუნტის დილეგებში იტანჯებიან.**

მეხიკო. მექსიკის თვალსაჩინო პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწეებმა მოუწოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გაშალოს ფართო საერთაშორისო მოძრაობა ლ. კორვალანისა და სხვა პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლებისათვის. მიმართვაში, რომელიც გაუგზავნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კ. ვალდჰაიმს, ისინი გადაჭრით გმობენ ჩილეს სამხედრო ხუნტას, რომელიც ფეხქვეშ თელავს ადამიანის უფლებებს. დოკუმენტს ხელს აწერენ მექსიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ხორხე კრუიკშანკი, კონსტიტუციურ-რევოლუციური პარტიის გენერალური მდივანი ა. გომესი და მექსიკის მთელი რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელები.

გუაიაკილი. ეკვადორის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ურღვევი სოლიდარობა გამოუცხადეს ჩილელ თავისუფლების მებრძოლებს. პროფკავშირები ჩილეს ხელისუფლებს უგზავნიან დეპეშებს, რომლებშიც მოითხოვენ, რომ აცნობონ მსოფლიო საზოგადოებრიობას რა ბედი ეწია ათი ჩილელ პოლიტიკურ პატიმრებს.

ლონდონი. ინგლისის მაღაროელთა ეროვნული პროფკავშირის შოტლანდიის განყოფილება სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს ვ. დიასის ბედის გამო, რომელიც ფაშისტურ გადატრიალებამდე ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილე და ამავე დროს ცნობილი პროფკავშირული ხელმძღვანელი იყო.

პროფკავშირის წევრებმა სამხედრო ხუნტის მეთაურს პინოჩეტს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც მოითხოვენ აცნობოს საიდუმლო პოლიციის მიერ დაპატიმრებული ვ. დიასის ადგილსამყოფელი.

ბერლინი. „ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ჩილეს სამხედრო ხუნტის ბარბაროსული ტერორის წინააღმდეგ", — ნათქვამია წერილში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე, რომელიც მას გაუგზავნეს თავისუფალი გერმანული ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალურ საბჭოსთან არსებული ვ. პიკის სახელობის ახალგაზრდობის უმაღლესი სკოლის სტუდენტებმა. ისინი მოითხოვენ შეწყდეს რეაქციის პარპაში ჩილეში, გაათავისუფლონ ლ. კორვალანი და სხვა პატრიოტები.

(საკდესი).

**კაპიტალის ქვეყნებში**




რას აიძულა ეს ადამიანები — ბინის დამქირავებლები (სურათზე) პლაკატებითა და ტრანსპარანტებით ჰამბურგის ქუჩებში რომ გამოსულიყვნენ? ისინი აღაშფოთა ერთ-ერთი დასავლეთგერმანელი სახლმფლობელის ჰაინც რუპერტის თვითნებობამ. იგი სხვადასხვა ხაზით სისტემატურად ზრდიდა ბინის ქირას. კიდევ უფრო დიდი მოგების მიზნით ჰაინც რუპერტი მიწის ნაკვეთებით სპეკულაციას ეწეოდა, რაშიც მას ხელს უშლიდა გასაყიდ ნაკვეთებზე საცხოვრებელი ბინების არსებობა. მათი პატრონი შენობებს შეგნებულად აქცევდა საცხოვრებლად უვარგისად, აზიანებდა სანიტარიულ კვანძს, მწყობრიდან გამოჰყავდა ელექტროგაყვანილობა და სხვა.

საპდესის ფოტო.



## უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო შეიკრიბა საგანგებო სხდომაზე, რათა განიხილოს სუვერენული სახელმწიფოს — ზამბიის რესპუბლიკის წინააღმდეგ სამხრეთ აფრიკის რეჟიმის აგრესიის აქტები.

ზამბიის თხოვნით მოწვეული საბჭოს წევრებს აცნობეს, რომ ამ დღეებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა ზამბიის ტერიტორიაზე ცეცხლი დაუშინეს დასახლებულ პუნქტს სიილოს. სამხრეთ აფრიკის თვითმფრინავებმა დაბომბეს ზამბიის მთელი რიგი სოფლები.

პრეტორიის რეჟიმის აგრესიის მორიგმა აქტმა აღშფოთება და პროტესტები გამოიწვია აფრიკის კონტინენტზე. ზამბიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. მვალემ თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აგრესიული მოქმედება სერიოზულ საფრთხეს უქმნის აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მშვიდობასა და უშიშროებას.

მთელი რიგი დელეგატების გამოსვლები შეიცავდნენ მტკიცე მოთხოვნას, რომ ბოლო მოეღოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შეიარაღებულ პროვოკაციებს აფრიკის სუვერენული ქვეყნების წინააღმდეგ. ინდოეთის წარმომადგენელმა რ. ჯაიპალმა ხაზი გაუსვა, რომ სამხრეთაფრიკელი რასისტები განზრახ აძლიერებენ დაძაბულობას აფრიკის სამხრეთ ნაწილში, ცდილობენ ხაბშონ ხალხთა მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ.

## მიწისძვრა ჩინეთში

პეკინი, 28 ივლისი. (საკდესი). დღეს დაახლოებით 3 საათსა და 40 წუთზე ადგილობრივი დროით პეკინში მოხდა მიწისძვრა. ბიძგები იგრძნობოდა ერთი წუთის განმავლობაში. ცოტა ხნის შემდეგ იგი განმეორდა, მაგრამ უფრო სუსტი იყო. ბევრმა მცხოვრებმა დატოვა თავიანთი სახლები, შესამჩნევი ნგრევა ქალაქში არ ყოფილა, მაგრამ ზოგიერთ ძველი შენობის კედლები გაიბზარა.

როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების წარმომადგენელმა განაცხადა, მთავარი მიწისძვრა ბიძგის ძალა იყო 7,3 ბალი რიხტერის სკალით. მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობს 150 კილომეტრზე პეკინის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

**ფაქტები მოვლენები პრობლემები**

**საკდესის და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან**

## პოლიტიკური სკანდალი

ტოკიო. (საკდესი). როგორც ცნობილი გახდა, ტოკიოს პროკურატურაში საათნახევრიანი დაკითხვის შემდეგ დააპატიმრეს იაპონიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი კაკუეი ტანაკა. იურიდიულ ორგანოებს, რომლებიც „ლოკჰიდის" სასკანდალო საქმეს იძიებენ, მიაჩნიათ, რომ ტანაკამ პრემიერის პოსტზე ყოფნის პერიოდში 1973-1974 წლებში ქრთამის სახით ამ ამერიკის ავიასამშენებლო კომპანიისაგან მიიღო 500 მილიონი იენი (1,7 მილიონამდე დოლარი).

ამავე დროს დაპატიმრებულია ტანაკას ყოფილი მდივანი ვინმე ტოსიო ენომოტო. ორივეს წაყენებული აქვთ უცხოეთის ვალუტის შესახებ არსებული კანონის დარღვევის ოფიციალური ბრალდება.

სულ „ლოკჰიდის" საქმეზე დღემდე დაპატიმრებულია 15 კაცი. მათ შორის არიან ავიაკომპანია „ოლ ნიპონ ეირუეისის" ხელმძღვანელები, რომლისთვისაც ყიდულობდნენ „ლოკჰიდის" საწარმოებში გამოშვებულ თვითმფრინავებს „ტრაისტარს", და იაპონიის ერთ-ერთი უდიდესი კორპორაციის „მარუბენის" ყოფილი პრეზიდენტი, რომლის მეშვეობით „ლოკჰიდი", როგორც იუწყებიან, გადასცემდა ხოლმე ქრთამებს იაპონელ მოღვაწეებს, მათ შორის ტანაკას.

დღევანდელ დრამატულ ამბებს წინ უძღოდა გაძაფთრებული ფრაქციული ბრძოლა მმართველ პარტიაში. ტანაკა, რომელიც მეთაურობდა ყველაზე მრავალრიცხოვან და გავლენიან ფრაქციას, ამ ბოლო დროს არაფერს ზოგავდა იმისათვის, რომ ტ. მიკი გადაეყენებინათ პრემიერ-მინისტრისა და პარტიის თავმჯდომარის პოსტებიდან.

ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთა უმრავლესობის წინააღმდეგობის მიუხედავად ახლანდელმა პრემიერ-მინისტრმა ტ. მიკიმ დაიწყო „ლოკჰიდის" საქმის საჯარო გამოძიება და გამოიყენა იგი თავისი პოლიტიკური მეტოქის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თანაც, დააკისრა რა ტანაკას მთელი პასუხისმგებლობა „ლოკჰიდის" სასკანდალო საქმისათვის, ტ. მიკი, როგორც იაპონიის პრესა წერს, ამავე დროს ცდილობს ასე თუ ისე გაამართლოს ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, არ დაუშვას მისი პრესტიჟის შემდგომი დაცემა ამომრჩეველთა თვალში ამა წლის დამლევისათვის დანიშნული საყოველთაო არჩევნების წინ.

**საერთაშორისო მიმოხილვა**

# ევროპა მშვიდობის კონტინენტი გახდება

უკვე რამდენიმე კვირა გავიდა იმ დღიდან, რაც ევროპის კონტინენტის კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელებმა, რომლებიც შეიკრიბნენ ბერლინის კონფერენციაზე, მოიწონეს დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი „ევროპის მშვიდობისათვის, უშიშროებისათვის, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესისათვის". მაგრამ გამოხმაურებანი, რომლებიც ამ მოვლენამ გამოიწვია მსოფლიოში, დღემდე გრძელდება.

სხვადასხვა ტენდენციისა და მიმართულების პრესა, ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები ვრცლად კომენტარს უკეთებენ ბერლინის ფორუმის შედეგებს, სიტყვას, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა. ამასთან კომენტატორთა უდიდესი უმრავლესობა ხაზს უსვამს, რომ ევროპის ქვეყნების მუშათა კლასს, მშრომელთა ფართო მასებს, ხალხებს გაუჩნდათ ორიენტირები, რომლებიც ხელს შეუწყობენ, რომ გააქტიურონ ბრძოლა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების განმტკიცებისათვის, თავიანთი სასიცოცხლო ინტერესებისათვის. „ბერლინის კონფერენციამ პასუხი გასცა ევროპისა და მთელი მსოფლიოსათვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს, — აღნიშნავს პოლონური ყოველკვირეული „პერსპექტივი". — კომუნისტური მოძრაობა ახალი უპირატესი იმპულსებისა და ჭეშმარიტად დიდი იმედების წყაროა". „კონფერენციამ გვიჩვენა, რომ კომუნისტები ყველაზე თანმიმდევრულ ძალას წარმოადგენენ მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში", — აღნიშნავს სომალის მთავრობის გაზეთი „ჰაღდუს ოქტობარი".

ამავე აზრს გამოთქვამს ... დასავლეთგერმანელმა მწერალმა და პუბლიცისტმა ფრიდრიხ ჰიტცერმა. „სწორედ ევროპის ქვეყნების კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა სხვა დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად გადამწყვეტი როლი შეასრულეს იმ პოლიტიკურ ინიციატივებში, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს კონტინენტზე დაძაბულობის შენელებისაკენ, უშიშროების განმტკიცებისა და თანამშრომლობის განვითარებისაკენ შემობრუნება, — თქვა მან. — სიტყვაში, რომელიც კონფერენციაზე წარმოთქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული დასკვნები შემდგომი ნაბიჯების შესახებ, რომლებიც ხელს შეუწყობენ ევროპის მშვიდობის განმტკიცებასა და გადაქცევას უშიშროებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის კონტინენტად".

კონფერენციის მიერ დასახული მიზნების მიღწევა მოითხოვს ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი პროგრესული დემოკრატიული ძალების სოლიდარულ მოქმედებას. ეს პირდაპირ არის ნათქვამი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დოკუმენტში „ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების ბერლინის კონფერენციის შედეგების შესახებ". ამავე აზრს იზიარებენ მოძმე პარტიები, რასაც მოწმობს ის, რომ მათმა უმაღლესმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა ერთსულოვნად მოიწონეს ბერლინში მიღებული გადაწყვეტილებანი.

მშვიდობისა და პროგრესის მოწინააღმდეგენი, ანტიკომუნისტები და სხვა რეაქციონერები ჯერ კიდევ კონფერენციის მოწვევამდე იმედს ამყარებდნენ მის წარუმატებლობაზე. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ უთანხმოება ჩამოეგდოთ სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტებს შორის ... ორობაში, წინა პლანზე აყენებდნენ ეროვნულ თავისებურებებს, რომლებიც, მათი აზრით შეუძლებელს ხდიან კომპარტიების ერთობლივ ბრძოლას საერთო მიზნებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მიაწერდნენ განზრახვას, რომ დაიმორჩილოს ევროპისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა, შექმნას რაღაც „ორგანიზაციული ცენტრი" ამ მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის.

ანტიკომუნისტების მანევრებს არ მოჰყოლია ის შედეგები, რომლებსაც ისინი მოელოდნენ. როცა თვალს ავლებს წარსულ დღეებს, მოძმე პარტიების სხდომები რომ მიმდინარეობდა ბერლინში, ბურჟუაზიული პრესაც კი აღიარებს, რომ არავითარი „ჯვაროშვა" იქ არ მომხდარა. მართლაც, კონფერენციის მუშაობა მიმდინარეობდა თვითეული მონაწილის შეხედულებათა პატივისცემის ატმოსფეროში, საკითხების დემოკრატიული და ჭეშმარიტად ამხანაგური განხილვის ვითარებაში, რამაც საშუალება მისცა მათ ერთობლივ შეფასებამდე და დასკვნებამდე მისულიყვნენ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიები ხომ ერთიანი ბრძოლის მონაწილენი არიან, მათ საბოლოო მიზანი ერთიანია. კონფერენციამ მაღლა აფრიალა ევროპის კომუნისტთა ერთიანობის დროშა, ცხადყო, რომ მოძმე პარტიები მზად არიან — თვითეულმა თავისი საშუალებებით და მეთოდებით, შეიტანონ წვლილი კოლექტიურად დასახული მიზნების მიღწევის საქმეში.

და მართლაც, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვაში, არავინ და არსად არ მოითხოვს კომუნისტური და მუშათა პარტიების რაღაც ორგანიზაციული ცენტრის შექმნას. თვითეული კომუნისტური პარტია იმ ქვეყნის მუშათა მოძრაობამ წარმოშვა, სადაც იგი მოქმედებს. და ეს პარტია თავისი მოქმედებისათვის პასუხს აგებს უწინარეს ყოვლისა საკუთარი ქვეყნის მშრომელთა წინაშე, რომელთა ინტერესებსაც იგი გამოხატავს და იცავს.

შევახსენებთ, რომ ევროპის კომუნისტთა ფორუმის მოწვევის წინადადება დაახლოებით ორი წლის წინათ წამოაყენეს იტალიის კომუნისტურმა პარტიამ და პოლონეთის გაერთიანებულმა მუშათა პარტიამ. მას მხარი დაუჭირეს კონტინენტის სხვა მოძმე პარტიებმაც. კონფერენციას ამზადებდნენ გულდასმით 28 პარტიის აქტიური მონაწილეობით (ამ ხნის განმავლობაში ვარშავაში, ბუდაპეშტსა და ბერლინში გაიმართა 16 მოსამზადებელი შეხვედრა). ფორუმის შემაჯამებელ დოკუმენტს კი მხარი დაუჭირა არა 28, არამედ 29 პარტიამ; ბერლინში კონფერენციაზე ჩამოვიდა ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა მოსამზადებელ მუშაობაში, მაგრამ სავსებით დაუჭირა მხარი დოკუმენტს „ევროპის მშვიდობისათვის, უშიშროებისათვის, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესისათვის".

ბერლინის ფორუმი მიმდინარეობდა თითქმის ერთი წლის შემდეგ იმ დროიდან, როცა ჰელსინკში მოეწყო ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფოთა ხელმძღვანელების შეხვედრა, რომელზეც აგრეთვე იხილავდნენ უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებს. და ამ ფორუმზე მშრომელთა ავანგარდის წარმომადგენლებმა კვლავ დაადასტურეს, რომ სწორედ კომუნისტები არიან სოციალური წყობილების განურჩევლად სახელმწიფოთა მშვიდობისათვის, თანაარსებობისა და თანამშრომლობისათვის ბრძოლის მონაწილეთა პირველ რიგებში. ბერლინის კონფერენციაზე გამოსული ყველა ორატორი კმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ დაისახა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ტენდენცია. ისინი აღნიშნავდნენ, რომ დაძაბულობის შენელება ხელშემწყობ პირობებს ქმნის სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობისათვის იქ, სადაც მუშათა კლასი უკვე მოიქცა ხელისუფლების სათავეში, და უმსუბუქებს მშრომელებს ბრძოლას მათი სასიცოცხლო ინტერესებისათვის კაპიტალის ქვეყნებში.

აჯამებდა რა ბერლინის კონფერენციის დღეებში გაწეული მუშაობის შედეგებს, ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა: შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ერთად დავსახეთ კარგი მარშრუტი წინსვლისათვის — ევროპის მშვიდობის, უშიშროების, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესისათვის, ჩვენ გვსურს ამ მარშრუტით ვიაროთ ყველა იმასთან ერთად, ვინც მზადაა იბრძოლოს ამავე მიზნებისათვის. ვფიქრობთ, ესეც საკმარისი იქნებოდა, რომ ჩვენს კონფერენციას ღრმა კვალი დაეჩნია ევროპის ისტორიაში".

„მაგრამ — დასძინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, — მან მოგვცა აგრეთვე მეორე ფრიად არსებითი შედეგი. მან გამოხატა ჩვენი პარტიების სურვილი პატივი სცენ ერთმანეთის დამოუკიდებლობას, გაითვალისწინონ სხვადასხვა პირობები, რომლებშიც ჩვენ გვიხდება ბრძოლა და ამავე დროს ითანამშრომლონ კიდევ უფრო კონსტრუქციულად, კიდევ უფრო მჭიდროდ და შეკავშირებულად".

ა. კრასიკოვი,
საკდესის პოლიტიკური მიმომხილველი.
ბერლინი-მოსკოვი.

## საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

**წარმოების რეზერვების გამოყენებისა და შავი ლითონების მომჭირნეობის რეჟიმის შემოწმების შედეგებზე იმსჯელა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა.**

მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავების ბევრ საწარმოში შეიმუშავეს და განახორციელეს ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი შავი ლითონების რაციონალურად გამოყენების და მათი ხარჯვის შემცირების დავალებებისა და ვალდებულებების შესასრულებლად. მაგრამ, როგორც შემოწმებამ ცხადყო, ამ საქმეში ხერიოზული ნაკლოვანებებია.

შავი ლითონების ხარჯვის ნორმების შემცირების დავალებათა შესასრულებლად საწარმოებისა და მშენებლობების მიერ შემუშავებული ღონისძიებანი ზოგ შემთხვევაში ფორმალურია და ხშირად არც სრულდება. ზოგიერთ საწარმოს ასეთი ნორმები საერთოდ არა აქვს. სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის ელექტრომექანიკურ ქარხანას (დირექტორი ს. სიხარულიძე) 1976 წლის დავალებით ლითონის ხარჯვის ნორმები უნდა შეემცირებინათ 3 პროცენტით, მაგრამ საწარმოს მიერ შემუშავებული ღონისძიებანი ლითონის მხოლოდ 1 პროცენტით ეკონომიას უზრუნველყოფს.

თების ლითონპროდუქციის არასრულად მიღებისა და გადიდებული და არაეკონომიური გაბარიტებით მათი იძულებითი შეცვლის გამო. ამ მიზეზით 1975 წელს და მიმდინარე წლის I კვარტალში თბილისის ქარხანა „საქსოფლმანქანაში“ (დირექტორი თ. სტურუა) 17 ტონა ლითონი გადახარჯეს, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში (დირექტორი დ. კიკნაძე) — 96 ტონა, ლილოს რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანაში (დირექტორი ა. გლურჯიძე) — 86,6 ტონა, რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანაში — 27,5 ტონა, ქუთაისის ელექტრომექანიკურ ქარხანაში — 229 ტონა და საავტომობილო ქარხანაში (დირექტორი ვ. ხარებავა) — 363,6 ტონა.

ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი ხერიოზულად არ ზრუნავს ლითონის გამოყენების კოეფიციენტის ასამაღლებლად, რის შედეგადაც ბურბუშელისა და ნარჩენების სახით იკარგება შავი ლითონების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ მხრივ ნაკლოვანებანია თბილისის გაერთიანება „ელმავალმშენებელში“, ქუთაისის ელექტრომექანიკურ, საავტომობილო, თბილისის კიროვის სახელობის ქარხნები.

ზოგიერთი საწარმოში გადამჭრელ ზომებს არ იღებენ ლითონის განიავების ფაქტების აღსაკვეთად, უხეშად ირღვევა სახელმწიფო დისციპლინა, რის შედეგად არის უფონდოდ ლითონის გაცემისა და სხვა მასალებზე მისი გაცვლის ფაქტები. ასე, მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში (დირექტორის მოადგილე ბ. კევლიშვილი) 1975 წელს და 1976 წლის I კვარტალში სხვა ორგანიზაციებზე ფონდის გარეშე გაცემული იყო 43,2 ტონა ლითონნაგლინი, რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანაში 128 ტონა, ქარხანა „საქსოფლმანქანაში“ 5 ტონა.

ლითონის უკონტროლო ხარჯვას ხელს უწყობს ლითონის მოძრაობისა და ხარჯვის არადამაკმაყოფილებელი აღრიცხვა. თბილისის სამშენებლო კონსტრუქციების წარმოების კომბინატში, რუსთავის რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატში და ქუთაისის რკინაბეტონის ნაკე-

# ლითონს ყაირათიანი ხარჯვა უნდა

ხარჯვის ნორმების შემცირების დავალება და ამ საქმისათვის არც კი ზრუნავენ.

„მთავართბილმშენის“ თბილისის ლითონდასამუშავებელ ქარხანაში მოქმედებს ლითონის ნარჩენების ძველი, გადიდებული ნორმები — 4,7 პროცენტი. ეს მაშინ, როცა წელს მთლიანად სსრ კავშირში ეს ნორმები 3,7 პროცენტამდე შემცირდა. მოძველებული ნორმების გამოყენების გამო ქარხანა სისტემატურად — არარეალურ ეკონომიას უჩვენებს. უფრო მეტიც, წელიწადში 700 ტონამდე ლითონპროდუქციის ზედმეტი რესურსების მიღებისათვის აქ განზრახ ამახინჯებდნენ სტატისტიკური ანგარიშგების მონაცემებს.

ანალოგიური ფაქტები იყო „კავკასელექტროქსელმშენის“ თბილისის სამშენებლო კონსტრუქციების კომბინატში და ტრესტ „საქმშენინდუსტრიის“ ქუთაისის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანაში (45 ტონა).

რუსთავის რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატში ლითონის ხარჯვის შემცირებისათვის შემუშავებულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებში გათვალისწინებულია წარმოებაში ჯერ კიდევ 1972 წელს ათვისებული წინასწარი დაძაბული დაარმატურების რკინაბეტონის ნაკეთობათა გამოშვების დანერგვა, რითაც აღწევენ წელიწადში 180 ტონამდე შავი ლითონების ფიქტიურ ეკონომიას. ამავე კომბინატში სისტემატურად ზედმეტ ლითონს ჩამოსწერენ. ლითონის მნიშვნელოვანი რაოდენობა იკარგება და გადადის ჯართში მომწოდებლისაგან შესაბამისი პროფილებისა და კვე-

რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხნის (თავმჯდომარე გ. ელიზბარაშვილი), რუსთავის რკინაბეტონის კონსტრუქციების კომბინატი (თავმჯდომარე ო. აბაშიძე) და ქუთაისის რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნისა (თავმჯდომარე დ. ბენიძე) არ ახორციელებენ მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის დაცვის თაობაზე პარტიისა და მთავრობის მოთხოვნათა შესრულებისათვის ქმედით კონტროლს, არ იღებენ გადამჭრელ ზომებს ლითონპროდუქციის წარმოების გადიდების რეზერვების გამოვლენისა და მისი ეფექტიანად გამოყენებისათვის; გეგმაზომიერად, მიზანდასახულად არ მუშაობენ ლითონის არასწორი და უყაირათო ხარჯვის ფაქტების აღმოსაფხვრელად.

კომიტეტმა შავი ლითონების გამოყენებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის ამიერკავკასიის მეტალურგმშენის № 1 ტრესტის რუსთავის რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატის დირექტორს გ. სირბილაძეს და მთავარ ინჟინერს მ. გუნთაიშვილს, „მთავართბილმშენის“ თბილისის ლითონდასამუშავებელი ქარხნის დირექტორს რ. თავაძეს, რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხნის დირექტორს ა. კიკნაძეს სასტიკი საყვედური, ხოლო „კავკასელექტროქსელმშენის“ სამშენებლო კონსტრუქციების წარმოების კომბინატის დირექტორს მ. ხეთაგურს საყვედური გამოუცხადა. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დირექტორის მოადგილის ბ. კევლიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად ქუთაისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტს გადაეცა.

### გამოცდილების კუთხე

# სამუშაო დროს — მკაცრი კონტროლი

**მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმება წარმატების საწინდარია**

და შესრულებისადმი კონტროლი. აღიკვეთა პარალელიზმი მუშაობაში, რაც წინათ დიდ დროს გვაკარგვინებდა.

სახალხო კონტროლის ტყიბულის საქალაქო კომიტეტმა წლეულს 11 მარტს განიხილა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი — ქალაქის სამრეწველო საწარმოებში სამუშაო დროის მაქსიმალური გამოყენების შესაძლებლობათა შესახებ — და მიიღო შესაბამისი დადგენილება. სახალხო კონტროლის ჩვენი შახტის სათაო ჯგუფმა იმთავითვე მკაცრი კონტროლი დააწესა დადგენილებაში აღნიშნულ მითითებათა შესასრულებლად. სამუშაო დროის მაქსიმალური გამოყენების საქმეში ჩარკვევამ ცხადჰყო, რომ შახტში საკმაოდ დიდი იყო სამუშაო საათების გაცდენის შემთხვევები. აქ თითქმის ყოველი მეოთხე მეშახტე სამუშაოს გამცდენი აღმოჩნდა. ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა შრომისა და ტექნიკური

ხტის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე მოახდინა გავლენა.

აღნიშნული დადგენილება და შახტში სამუშაო დროის გამოყენების ფაქტიური მდგომარეობა კონტროლიორებმა ყველა მეშახტეს გააცნეს, თან ღრმად განუმარტეს თვითეული წუთის ფასი და მისი მნიშვნელობა ეფექტიანობისა და ხარისხისათვის ბრძოლაში. ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად შევადგინეთ სამოქ-

და მიწისქვეშა სანგრევების ეფექტიანობა, გაიზარდა მათი დატვირთვა, გაუმჯობესდა მოპოვებული ქვანახშირის ხარისხი.

ყველაზე სასიხარულო ის არის, რომ შახტის კოლექტივმა წარმატებით დაძლია ხუთწლედის სტარტზე დაშვებული ჩამორჩენა და ხუთი თვის ქვანახშირის მოპოვების სახელმწიფო გეგმა 2,1 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა. გაიზარდა ერთი მუშის შრომის ნაყოფიერება გეგმიურთან შედარებით. ივნისის პირველ დღეს შახტის ბუნკერიდან უკვე გავიდა ზეგეგმითი სათბობით ქვანახშირით დატვირთული მორიგი მეთორმეტე სარკინიგზო ეშელონი.

ასეთი ნაყოფი გამოიღო მიღებულ დადგენილების შესრულებაზე მკაცრი კონტროლის დაწესებამ.

**ჯ. ქათამაძე,**
ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის სახალხო კონტროლის სათაო ჯგუფის თავმჯდომარე.

### კარიკატურისტის კომენტარი




**თავბრუდამხვევი... ჩამორჩენა**

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე 20 წელზე მეტი ხნის ჩარხების ხვედრითი წონა ლითონსაჭრელი ჩარხების საერთო პარკში 19 პროცენტიდან 17 პროცენტამდე შემცირდა, ესე იგი სულ 2 პროცენტით. ეს იმის შედეგია, რომ სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებს, თვით პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებსაც დღემდე არა აქვთ მოწყობილობისა და ჩარხის პარკის განახლების ღრმად და ყოველმხრივ გააზრებული, მეცნიერულად დასაბუთებული კონკრეტული გეგმები. ასეთი მოწყობილობით როგორ უნდა მივყვეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თავბრუდამხვევ ტემპს?

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის მასალებიდან.

მხატვარი გ. ლომიძე.

უნდა განმტკიცდეს სახელმწიფო დისციპლინა, კადრები აღიზარდონ იმ სულისკვეთებით, რომ სახალხო-სამეურნეო გეგმებს ყველა მაჩვენებლით, უთუოდ ასრულებდეს ყველა მუშა, ყველა კოლექტივი, უნდა გაუმჯობესდეს მუშაობა კადრების რეზერვთან, ამაღლდეს მათი თეორიული და პროფესიული მომზადება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 22 ივნისის დადგენილებიდან.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს დაევალა გააქტიუროს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის რეგიონალური კომიტეტების მუშაობა სახელმწიფო, საშემსრულებლო დისციპლინის ყოველნაირად განმტკიცებისათვის, გადაჭრით ებრძოლოს მიკერძოების გამოვლინებებსა და საქმისადმი უწყებრივ მიდგომას, სახელმწიფოს მოტყუების ყოველგვარ ცდებს, ყოველნაირად შეუწყოს ხელი იმას, რომ თვითეულ ადამიანს განუვითარდეს მთელი საზოგადოების საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა; წარმართოს სახალხო კონტროლიორთა დიდი არმიის მეცადინეობა იმისათვის, რომ ქმედითი დახმარება გაუწიონ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს ყველა უბანზე, ყველა რგოლში, სანიმუშო დისციპლინისა და წესრიგის დამყარებაში.

„სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

### ფელეტონი

# ასპინძელი მასპინძლის გასაჭირი

მას შემდეგ, რაც ვარძიაში ტურისტული მარშრუტი დაწესდა, ხოლო „პოეზიის დღე — რუსთაველის დღე“ სახალხო გადმოცემით რუსთაველის სამშობლოდ მიჩნეულ მესხეთის რუსთავში აღინიშნება, ასპინძის რაიონს ყოველთვის უამრავი სტუმარი ჰყავს.

მგოსნის მშობლიური მხარის დასათვალიერებლად საიდან არ ჩამოდიან აქ — საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გნებავთ, მოძმე რესპუბლიკებიდან თუ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

ამ გაზაფხულზე ერთ ძვირფას სტუმართან ერთად მომიხდა აქეთკენ მგზავრობა. ერთი ახალგაზრდა ასპინძელი ახალციხე-ასპინძის საზღვარზე შემოგვხვდა, მეგზურობა და მასპინძლობა ითავა. იგი მესხეთის ისტორიის კარგი მცოდნე და ენაწყლიანი კაცი აღმოჩნდა. მან სტუმარს მოკლედ გააცნო ამ მხარის წარსული და აწმყო, სახალხო თქმულებანი, ხოლო როცა სოფელ რუსთავში დიდი მგოსნის ძეგლთან შევჩერდით, გვიამბობდა ქართული ლექსის დღესასწაულზე, რომელიც 1966 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად იმართება აქ ოქტომბერში. შემდეგ კი ვარძიისკენ მიმავლებს გვესაუბრა იმ ისტორიული ძეგლების შესახებ, რომლებიც გზადაგზა გვხვდებოდა.

გზის ნაპირას ქარვასლების, ანუ ძველი სასტუმროების ნანგრევებიც შევხვდა. ვარძიიდან უკან დაბა ასპინძაში რომ ვბრუნდებოდით, ჩვენმა მეგზურმა სწორედ მაშინ ჩამოაგდო ამ სასტუმრო-ქარვასლებზე საინტერესო საუბარი:

„ასპინძა“ ძველ ქართულ წყაროებში IX საუკუნიდან გვხვდება. ეს სახელი, სხვათა შორის, უფრო ადრე შემოვიდა ქართულში და ნიშნავს დიდ გზებზე მდებარე სასტუმროს, სადგურს, ქარვასლას. აქედან წარმოიშვა სიტყვა „მასპინძელიც“, რაც ნიშნავს სასტუმროს მეპატრონეს, მფლობელს. რაიონის ტერიტორიაზე შემორჩენილი ქარვასლების ნანგრევები იმაზე მეტყველებენ, რომ აქ, სადაც ოდესღაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების დამაკავშირებელი ერთ-ერთი ცენტრალური საქარავნო გზა გადიოდა, ბევრი სასტუმრო ყოფილა. ყველაზე დიდი, კეთილმოწყობილი და საიმედოდ დაცული სასტუმრო დაბის ტერიტორიაზე მდებარეობდა. სწორედ აქედან შემორჩა ჩვენს დაბასა და რაიონულ ცენტრს სახელწოდება — „ასპინძა“.

— სიმართლე გითხრათ, მომეწონა თქვენი დაბა და მისი სახელიც. ძველი სასტუმროების ამ დიდებულ მხარეში ალბათ იდეალურად გექნებათ მოწყობილი ახალი სასტუმროც. თუ არ ვცდები მასაც „ასპინძა“ ერქმევა, ახლა ალბათ იქ შევჩერდებით, არა?!

ეს სიტყვები ისეთი კმაყოფილებით ჩაილაპარაკა ჩვენმა სტუმარმა, რომ გვეგონებოდათ ეს ეს არის ფეხს შედგამს თანამედროვე, კეთილმოწყობილ მრავალსართულიან სასტუმროშიო.

ამას, როგორც შევატყე, არ მოელოდა ჩვენი ახალგაზრდა მასპინძელი. თითქოს ენა დაება, წუთით ხმა ვერ ამოიღო, შემდეგ კი ჩანს დასძლია მღელვარება და უპასუხა:

— თუმცა ეს ძალიან უცნაურად ჟღერს, მაგრამ გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ დღეისათვის ასპინძაში სასტუმრო არა გვაქვს.

— რას ამბობთ — ასპინძელებს სასტუმრო აღარა გქვთ? შეიცხადა სტუმარმა.

— არა გვაქვს, ბატონო, და რა ვქნათ, მაგრამ როცა მიხვდა, რომ სტუმარს ასეთი პასუხი არ ეკადრებოდა, დინჯად დაუმატა — მთლად ისე წყალწაღებული არა ვართ, ახალი სასტუმროს პროექტი და ხარჯთაღრიცხვა დიდი ხანია შედგენილია და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო ყოველ წელიწადს გვპირდება, ასპინძაში სასტუმროს მშენებლობას წელს თუ არა მომავალ წელს დავიწყებთო.

ვინ მოთვლის რამდენი წელი გავიდა დაპირების შემდეგ, ახლა, სასტუმროს კი ვერა და ვერ ვეღირსეთ.

ეს სიტყვები ჩვენმა მასპინძელმა გაუბედავად, მხოლოდ ჩემს გასაგონად ჩაილაპარაკა, მაგრამ სტუმრის მახვილ სმენას არაფერი გამოეპარა. და მან თქვა — მაგ კითხვაზე ისევ თქვენი რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო თუ გასცემს სწორ პასუხსო.

ამასობაში დაბა ასპინძაში შევედით. ახალგაზრდა მასპინძელმა თავაზიანად გვთხოვა მანქანიდან ჩამოვსულიყავით, ვსტუმრებოდით მის სახლში, მართალია, ასპინძელებს სასტუმრო არ გაგვაჩნია, მაგრამ სახლები კარგი გვაქვს, ოჯახში გვესტუმრეთო. სტუმარმა უარი განაცხადა, აღარ ისურვა გაჩერება და მასპინძლისათვის რომ გული არ დაეწყვიტა, ისიც საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსავით შეჰპირდა, როცა სასტუმრო გექნებათ, მაშინ ნამდვილად გავჩერდები თქვენთან რამდენიმე დღითო.

და მართლაც საკითხავია — ბოლო მოეღება თუ არა გაუთავებელ დაპირებებს, ექნებათ თუ არა ასპინძელებს სასტუმრო და როდის?

**შ. მაისურაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

### მკითხველის რეპლიკა

# ისევ თავახდილ ჭაზე...

**გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას**

თქვენი გაზეთის 26 ივნისის ნომერში მოთავსებული კარიკატურა არ ეხმიანება ქალაქის მეურნეობაში არსებულ უამრავ მტკივნეულ და საჭირბოროტო საკითხს, ასე რომ, არ შეიძლება რაიმე ქმედითი მნიშვნელობა ჰქონდეს ქალაქში სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის. ამ კარიკატურის მორალი ის არის, რომ მოქალაქეებმა თავლია ჭაში ნაგავი არ ჩაყარონ. მაგრამ რატომ არის ეს ჭები თავღია? ეს არის საკითხი და გამოსასწორებელი.

ეს კარიკატურა იმ დაწესებულების დოყლაპია და უპასუხისმგებლო ხელმძღვანელებისათვის უნდა მიეძღვნათ, რომელთაც ეს თავღია ჭები ეკუთვნის და რომელთა მიზეზით ქალაქში ყოველდღიურად ათობით ავტომანქანის ავარია ხდება. საჩიჩრდებიან ადამიანები, ზიანდება ტექნიკა...

ყველამ იცის, რომ ჭებს მხოლოდ იმ დაწესებულებათა მუშაკები ხდიან თავს, რომელთაც ეს ეკალებათ და მერე თავღიად ტოვებენ. რაც შეეხება მოქალაქეებს — არცერთი ჭკუათამყოფელი ჭას სახურავის მოხდას არ დაუწყებს იმიტომ, რომ იქ ნაგავი ჩაყაროს.

ისე კი, ეს ჟანრი რომ თქვენი გაზეთის ფურცლებზე უფრო ხშირად პოულობდეს ადგილს და მწვავე და სადღეისო საკითხებს ეპასუხებოდეს არ იქნება ურიგო.

თქვენი გაზეთის მკითხველი.

**რედაქციისაგან:** მკითხველი რატომღაც ხელს არ აწერს ამ წერილს, მაგრამ სავსებით სამართლიან საყვედურს გამოთქვამს.

იმედია, მის ამ დროულ რეპლიკას უთუოდ გამოეხმაურებიან ისინი, ვისი მიზეზითაც ასე მომრავლდა თავახდილი ჭები.

### კომიტეტში მოქალაქე მოვიდა

# მიწერ-მოწერა საქმეს რომ შველოდეს...

**ცხინვალის პურკომბინატში უხარისხო პური ცხვება**

ცხინვალის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის კაბინეტში აღელვებული ქალი შემოვიდა, ქაღალდში შეხვეული სწრაფად გახსნა და მაგიდაზე დადო.

— ბოლო აღარ უნდა მოეღოს ამდენ უპასუხისმგებლობას? პური ვერ გვიჭამია, პირდაპირ შეგვაძულეს! — ცხარობდა იგი.

— პურის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი რამდენჯერმე განვიხილეთ კომიტეტის სხდომაზე, მასალები პარტიის საქალაქო კომიტეტსაც გადაუგზავნეთ, მაგრამ ხარისხს მაინც არაფერი ეშველა — თქვა ცხინვალის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. გალაანომამ.

— შეუძლებელია ასეთი საგნის მოხვედრა პურში. ვიღაც განგებ მიყრის, — ამბობს პურკომბინატის დირექტორი ა. სიუკაევი და ხელიდან იღებს სხვადასხვა უცხო საგნებს, რომლებიც მომხმარებელს მათ პროდუქციაში აღმოუჩენია.

დირექტორთან ერთად ვნახეთ საამქროები, ვესაუბრეთ ფქვილის მცრელებს, მზელავებს, მცხობელებს...

— თაგვები მომრავლდა, წრუწუნები ყველგან ძვრებიან, რამდენჯერ ცომშიც ჩამხტარან და აგრეგატი გაჩერებია. — ამბობს ცომის მზელავი მაღალი, სანდომიანი კაცი.

საოლქო სანეპიდსადგურის წარმომადგენლებს აქტები რამდენჯერმე შეუდგენიათ, მაგრამ აქტი თაგვს აფრთხობს?

პურის საცხობ საამქროში კედლები ჩაშავებულ-ჩაჟამებულია. ცუდად ნალესი ჭერიდან კენჭები, ბეტონის ნაფხვენი იყრება... ათი თვალი და ყური სჭირდება აქ მომუშავეს, რომ უცხო საგანი არ მოხვდეს პურში.

— ეტყობა დიდი ხანია არ გაგირემონტებიათ. — ვეუბნები დირექტორს.

— ასეა. თანხები კი იყო გამოყოფილი. ამის გამო კიდეც დაისაჯნენ ყოფილი ხელმძღვანელები.

— ახლა რას ფიქრობთ?

— კაპიტალურ რემონტს ვაპირებთ, უკვე მივწერეთ ტრესტში. ბრძანებაც არის.

— ამ პირობებში უკეთესი პურის გამოცხობა არ შეგიძლიათ? — ვეკითხებით ცვლის ოსტატს გ. ვალიევს, რომელსაც ორი უმაღლესი განათლება მიუღია და პურის ცხობის ერთწლიანი კურსებიც წარჩინებით დაუმთავრებია.

— ძალზე ძნელია. პურსაცხობ ღუმელებში ვერ ხერხდება ორთქ-

ლისა და ტემპერატურის რეჟიმის რეგულირება. ღუმელებს არა აქვს დროის განმსაზღვრელი, არ მუშაობს დოზიტორები. ეს კი უარყოფითად მოქმედებს თბორეჟიმსა და გამომცხვარი პურის ხარისხზე. ნახეთ: ერთი და იგივე ღუმელიდან პურის ერთი ნაწილი დაბრაწული გამოდის, ნაწილი კი — ფერმკრთალი. დეჟებიც არა გვაქვს საკმარისი, გადატვირთულია და ამიტომაც ცომს კარგად ვერ ურევენ, პურში გვხვდება დაკოშტებული ფქვილი, არც ყალიბები გვაქვს...

— პური რატომ არაა ფუნთუშა, კარგად აფუებული?

იმიტომ, რომ საჭიროა საფუარი განყოფილების მოდერნიზაცია, გა-

დიდება. ეს გათვალისწინებული იყო პატარა ღუმელებზე, მაგრამ ახლა როცა ღუმელების წარმადობა გაზრდილია, ვეღარ ეფარდება მას.

— ნუთუ ეს ვითარება არ იცის „საქპურმრეწვის“ ხელმძღვანელობამ?

— როგორ არა. ორი წელია საზავენ ღონისძიებებს. ამასწინათაც მივიღეთ ბრძანება. — გვეუბნება დირექტორი.

ვნახეთ 1976 წლის 19 მაისის ბრძანება „ცხინვალის პურკომბინატის მუშაობის შესახებ“, რომელიც გაერთიანება „საქპურმრეწვის“ უფროსმა დაუშვა პურის უხარისხობაზე გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ კრიტიკული გამოსვლის გამო. მასში ნათლად არის ასახული არსებული მდგომარეობა. ბრძანებაში წერია:

„ცხინვალის პურკომბინატში კაპიტალური რემონტი დაიწყოს პირველ ივნისიდან და დამთავრდეს პირველ ივლისს.

რემონტის ხანგრძლივობა, მოწყობილობის დამონტაჟება და შეცვლა ...

რილმზომი (ორი ცალი), დეჟები 10 ცალი და კრემამთქვეფი. მიიღეთ ზომები ფონდების ასათვისებლად“.

გაიგზავნა მოთხოვნები, წლის პირველი ნახევარიც გავიდა, მაგრამ ცხინვალში არაფერი მიუღიათ.

ვერ ვიტყვით, რომ ქარხნის დირექციას არ აწუხებდეს შექმნილი მდგომარეობა. ჯერ კიდევ შარშან 27 ოქტომბერს დირექტორმა „საქპურმრეწვის“ უფროსს მისწერა, დაგვეხმარეთ 1976 წლისთვის ცხინვალის პურკომბინატში ფქვილის უტარო შენახვისა და შიდასაქარხნო ტრანსპორტირების საამქროსა და საფუარი განყოფილების მშენებლობაშიო, 23 დეკემბერს ეს კვლავ შეახსენეს ხელმძღვანელებს, მაგრამ მდგომარეობა დღემდე უცვლელია.

პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტიც ერთი შეხედვით დიდ მზრუნველობას იჩენს პურკომბინატისადმი. 1974 წლის ექვს ივლისს საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განიხილეს ცხინვალის პურკომბინატის გამოშვებული პროდუქციის ხარისხობრივი საკითხი, ...

ლებაც კარგი მიიღეს, მაგრამ საქმეს როდი ეშველა. საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1975 წლის 25 აპრილს კვლავ განიხილა ცხინვალის პურკომბინატში სამეურნეო-ფინანსურ საქმიანობაში სერიოზული დარღვევების საკითხი.

სხვა ღონისძიებების დასახვასთან ერთად საქალაქო კომიტეტის ბიურომ სამუშაოდან გაათავისუფლა ქარხნის დირექტორი, პარტიული სასჯელი დაედოთ ტექნიკური სამსახურისა და ლაბორატორიის მუშაკებს.

დადგენილება საკმაოდ ვრცელი და საქმიანია, მაგრამ მისი შესრულებისათვის ნაკლებად იბრძოდა პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტი, რადგან პური კვლავ უხარისხოა. ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა წლეულს 17 ივნისს, როცა ცხინვალის პურკომბინატის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი ინჟინერი ო. კვირიკაძე და ამავე სამმართველოს სამხრეთ ოსეთის ლაბორატორიის უფროსი ი. ჯიოევი პურის ხარისხს ამოწმებდნენ. მართალია, მათ არ შეამოწმეს პურის სიმჟავე, ფორიანობა და ტენიანობაზეც გამოშვებული პროდუქციის მცირე ნაწილი გაისინჯა, მაგრამ ერთი რამ მაინც გაირკვა: პური უხარისხოა.

ერთი სიტყვით, მიწერ-მოწერები, შემოწმებები, დადგენილებები არ აკლია ცხინვალის პურკომბინატს, მაგრამ მდგომარეობა არ იცვლება.

როგორც ცნობილია, საქმის წარმატება დიდად არის დამოკიდებული კადრებზე. ვნახოთ ვინ ხელმძღვანელობს ცხინვალში პურის ცხობას. 19 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკიდან მხოლოდ ხუთ კაცს აქვს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება. ცხადია, გეოლოგი, სამთო ტექნიკოსი, ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკის მასწავლებლები, ზოოტექნიკოსები ვერ უხელმძღვანელებენ პურის ხარისხიან ცხობას. არსებული ტექნიკური დანადგარებიც რომ შეიცვალოს, უპირველესად საჭიროა სპეციალისტები, შემდეგ კი — პრინციპული, საქმის მცოდნე ხელმძღვანელები.

პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტმა უნდა იზრუნოს პურკომბინატში კადრების სათანადო განლაგებაზე, მათი იდეურ-პოლიტიკური დონისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. არ კმარა მარტო დადგენილებების მიღება. ცხინვალის პურკომბინატში ერთხელ და სამუდამოდ წესრიგი უნდა დამყარდეს.

**გ. თედეევი,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გევრ ჩვენს ატელიეში კოსტუმს ან კაბას შესაკერავად მაშინ მიიღებენ, თუ გამომჭრელს თვალში მოუხვედით. ხშირად ასე ხდება: გამომჭრელი შეგათვალიერებს, აგწონ-დაგწონის და თუ ხელს არ აძლევს, უარით გამოგისტუმრებს, განა ეს არის მშრომელთა კეთილი მომსახურება?

მკითხველის სიგნალიდან



**მუშტრის თვალით**

# სამუშაოდან გადააყენეს

ამბროლაურის სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა შეამოწმა რაჭის სამთო-მეტალურგიული კომბინატის მუშათა მომარაგების განყოფილების მუშაობა. გამოირკვა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე განლაგებული მაღაზიები და საზოგადოებრივი კვების ობიექტები ვერ ასრულებენ თავის დანიშნულებას — სუსტად ამარაგებენ მუშებსა და მოსახლეობას სურსათ-სანოვაგით. მაღაზიებში არ იყიდება ზოსტნეული, რძე, ყველი და კვერცხი. საქმე კარგად არც ხორცით მომარაგებაშია, ცუდად მუშაობენ სასადილოები...

კომიტეტმა მუშათა მომარაგების საქმეში არსებული ნაკლოვანებებისათვის სამუშაოდან გადააყენა მომარაგების უფროსი ვ. თაშელი. (საკ. კორ.).

# კონტროლიორები — ვაზს

დიდი ჯაფა დაადგათ წლეულს მევენახეებს. ხანგრძლივი, მკაცრი ყინვით დაზიანებულ ვაზს განსაკუთრებული მიდგომა და მოვლა ესაჭიროება. ამას გამუდმებული წვიმებიც დაერთო და მევენახის შრომა უფრო გართულდა, გართულდა. ასეთ მძიმე კლიმატურ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვენახებში სამუშაოთა თავის დროზე და მაღალხარისხოვნად ჩატარებას, თორემ ფუჭად ჩაუვლის კაცს დაღვრილი ოფლი.

ამიტომ არის, რომ ჩვენი კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თვითეული წევრი და საგუშაგოები უპირველეს ამოცანად ისახავენ ვენახების სამუშაოების და განსაკუთრებით მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა ეფექტიანად ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას. მათი მონაწილეობა კი იმით გამოიხატება, რომ ისინი შრომაში მაგალითის მაჩვენებელნი არიან და ამავე დროს ფხიზლად ადევნებენ თვალ-ყურს ბრიგადაში, რგოლში სამუშაოთა მიმდინარეობას.

№2 ბრიგადის საგუშაგოს წევრებმა შ. დედაბრიშვილმა (ხელმძღვანელი), ნ. ბოტკოველმა და ქ. შიშმანაშვილმა შენიშნეს, რომ წამლობის ხარისხი არ იყო დამაკმაყოფილებელი, შაბიამნის ხსნარის შესასხურებელი აპარატის ყველა ბუნიკი ნორმალურად არ მოქმედებდა, ამასთან ტრაქტორი ზედმეტი სიჩქარით დაჰყავდათ. საგუშაგოს წევრებმა მომხდარი ფაქტი დაუყოვნებლივ აცნობეს კოლმეურნეობის გამგეობას, ხოლო ტრაქტორისტს გაასწორებინეს სასხურებელი აპარატი და უხარისხოდ შეწამლული ფართობი ხელახლა შეაწამლინეს.

ჩვენი ჯგუფის სახალხო კონტროლიორებმა ნ. არსენაშვილმა და შ. ბაჩიაშვილმა შეამოწმეს ვენახების წამლობისა და მწვანე ოპერაციების მიმდინარეობა. აღმოჩნდა, რომ №1, 2, 7 ბრიგადებში ეს სამუშაო გაუფურჩნავ-ასახვევ ნაკვეთებში ტარდებოდა, რის გამოც შეწამლვის ხარისხი ცუდი იყო და ვაზის ყლორტიც ზიანდებოდა. მათ შექმნილი მდგომარეობა დაუყოვნებლივ მოახსენეს ჯგუფის ხელმძღვანელობას და კოლმეურნეობის გამგეობას. ამის შემდეგ წამლობა დროებით სხვა ნაკვეთებში გაგრძელდა, ხოლო გაუფურჩნავ-აუხვეველი ნაკვეთები სასწრაფოდ დაამუშავეს.

არცერთი უარყოფითი ფაქტი თუ ნაკლოვანება სახალხო კონტროლიორთა ფხიზელ თვალს არ ეპარება და მათი უშუალო ჩარევით თუ მონაწილეობით დაუყოვნებლივ სწორდება.

**დ. ლაჩაშვილი,**
თელავის რაიონის სოფელ იყალთოს კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

# მონრეალის XXI ოლიმპიადაზე

# რ. ხარშილაძის „ვერცხლის ტატამი"





[illegible]

მონიმალური უპირატესობით დაუთმო მსოფლიოს ჩემპიონს, იაპონელ კაცუჰირო ნინომიას, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა. ბრინჯაოს ჯილდოები გადაეცათ ლეუედ ხტარბრუკს (ინგლისი) და გეორგ რიტლისბერგს (შვეიცარია).

**ძალოსნობა.** დიდი ინტერესით ელოდნენ „სენ-მიშელის" დარბაზის მაყურებლები საჭიდაო ტრიბუნები ყველაზე ღონიერი ადამიანების — მეორე მძიმე წონის (110 კგ ზევით) შტანგისტთა გამოსვლას.

— როგორ წარიმართებოდა, თქვენი აზრით, ბრძოლა ფიცარნაგზე ბულგარელი ხრისტო პლაჩკოვი (მან წინა დღეს ტრავმა მიიღო) რომ გამოსულიყო, — ჰკითხეს ასპარეზობის შემდეგ ოლიმპიურ ჩემპიონს (ახლა უკვე ორგზისას!), სპორტის დამსახურებულ ოსტატს, სამთო ინჟინერს ვასილ ალექსეევს („ტრუდი", რიაზანი).

— თუ ვიმსჯელებთ ლევანდელი შედეგით, მე უნდა გამემარჯვნა, — უპასუხა საბჭოთა გუნდის კაპიტანმა.

440 კილოგრამი მთავრობ[illegible] ... საბჭოთა მოფარიკავეებმა (ვიქტორ კროვოპუსკოვი, ვლადიმერ ნაზლიმოვი, ვიქტორ სიდიაკი, ედუარდ ვინოკუროვი), რომლებმაც ჩემპიონობა მოიპოვეს. ოქროს მედალი გადაეცა აგრეთვე ახალგაზრდა მოფარიკავეს მიხეილ ბურცევს, რომელიც ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში წინასწარ შეხვედრებში გამოდიოდა.

**საიალქნო სპორტი.** ორი ვერცხლის მედალი მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა კინგსტონში, ონტარიოს ტბაზე — „ტემპესტის" კლასში კიევლ არმიელთა წყვილმა (ვალენტინ მანკინი და ვლადისლავ აკიმენკო), ხოლო „ფინის" კლასში მოსკოველმა არმიელმა ვლადიმერ ბალაშოვმა.

**წყალში ხტომა.** 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა მიუნხენის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, 28 წლის იტალიელმა კლაუს დიბიასიმ — 600,51 ქულა. მეორე იყო გრეგ ლოუჯენისი (აშშ) — 576,99. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, 17 წლის მინსკელი ვლადიმერ ალეინიკი („სპარტაკი") ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა — 548,61 ქულა.

... საბოლოოდ მეორე ადგილზე გამოვიდა. ჩემპიონი გახდა უნგრეთის ნაკრები. „ვერცხლი" და „ბრინჯაო" მოიპოვეს იტალიელმა და პოლონელმა წყალბურთელებმა.

**მშვილდოსნობა.** ქალთა ტურნირის ორი სახეობის შემდეგ სათავეში ჩაუდგა მარია ურბანი (აშშ) — 605 ქულა. მეორეა ილდიკა ვილეიტო (პოლონეთი) — 591, მესამე — ლვოველი ვალენტინა კოვპანი — 588. დუშანბელ ზებინისო რუსტამოვას მეხუთე შედეგი აქვს — 584 ქულა.

**თავისუფალი ჭიდაობა.** წარმატებით დაიწყო ასპარეზობა ათივე საბჭოთა ფალავანმა. დამაჯერებელი გამარჯვებები მოიპოვეს პირველ წრეში რომან დიმიტრიევმა, ალექსანდრე ივანოვმა, სერგეი ტიმოფეევმა, ვლადიმერ იუმინმა, პავლე პინიგინმა, ლევან თედიაშვილმა, რუსლან აშურალიევმა და ივანე იარიგინმა.

**ფეხბურთი.** სამშაბათს მონრეალში გაიმართა სსრ კავშირისა და გდრ-ის ნაკრებთა ნახევარფინალური შეხვედრა. პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა. შესვენების შემდეგ გერმანელმა



ფეხბურთელმა დიორნერმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით პირველი ბურთი გაიტანა, რამდენიმე წუთის შემდეგ კურბიუვაიტმა ორამდე გაზარდა ანგარიში, ხოლო ასპარეზობის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე კოლოტოვმა ერთი საპასუხო ბურთი გაიტანა. 2:1 — გდრ-ის ნაკრები ფინალში გავიდა. მოგვყავს საბჭოთა გუნდის შემადგენლობა: ასტაპოვსკი, ტროშკინი, ზვიაგინცევი (ფომენკო), მატვიენკო, რეშკო, ბურიაკი, კოლოტოვი, მინაევი, ონიშჩენკო (ფიოდოროვი), ვერემეევი, ბლოხინი.

მეორე ნახევარფინალში, რომელიც ტორონტოში გაიმართა, ერთმანეთს შეხვდნენ პოლონეთისა და ბრაზილიის გუნდები. ანგარიშით 2:0 (0:0) გაიმარჯვეს პოლონელებმა. ოლიმპიურ ჩემპიონთაგან წარმატებას ორჯერვე შარმახმა მიაღწია, რომელსაც ამ ტურნირში უკვე 6 გატანილი ბურთი აქვს.

ამრიგად, გადამწყვეტ მატჩში მონრეალის მთავარ ოლიმპიურ სტადიონზე ოქროს მედლებისათვის ბრძოლაში 31 ივლისს ერთმანეთს შეხვდებიან პოლონეთისა და გდრ-ის გუნდები. დღეს ამავე სტადიონზე გაიმართება მატჩი მესამე ადგილისათვის სსრ კავშირისა და ბრაზილიის ნაკრებ გუნდებს შორის.





**სურათებზე:** ოლიმპიური მონრეალი. (მარცხნივ ზემოდან) მეორე მძიმე წონის შტანგისტთა შორის გამარჯვებული ვასილ ალექსეევი აკვრაში მსოფლიოს რეკორდის დამყარების დროს; ოლიმპიადის ვერცხლის მედლის მფლობელი, ქართველი ქვემძიმე წონის ძიუდოისტი რამაზ ხარშილაძე; (მარჯვნივ ზემოდან) ოლიმპიური ჩემპიონები — საბჭოთა ნიჩბოსნები, ძიუდოისტი — მძიმეწონოსანი სერგეი ნოვიკოვი და მძლეოსანი ტატიანა კაზანკინა.

საკდეს-საქინფორმის ფოტო.

## მედლები და ქულები

მონრეალის XXI ოლიმპიადის არაოფიციალური გუნდური ჩათვლა 27 ივლისისათვის.

(გათამაშებულია მედლების 114 კომპლექტი 198-დან).

| | ო. | ვ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| 1. სსრ კავშირი | 27 | 26 | 20 | 471 |
| 2. გდრ | 27 | 17 | 14 | 429 |
| 3. აშშ | 21 | 23 | 17 | 392,5 |
| 4. გფრ | 6 | 6 | 10 | 159 |
| 5. ბულგარეთი | 5 | 7 | 6 | 112 |
| 6. რუმინეთი | 3 | 5 | 6 | 101 |
| 7. იაპონია | 3 | 4 | 7 | 96,5 |
| 8. პოლონეთი | 4 | 2 | 5 | 94 |
| 9. უნგრეთი | 3 | 1 | 4 | 79 |
| 10. კანადა | 0 | 2 | 6 | 71 |
| 11. ინგლისი | 2 | 3 | 3 | 59 |
| 12. ჩეხოსლოვაკია | 2 | 2 | 3 | 58 |
| 13. იტალია | 1 | 4 | 2 | 58 |
| 14. ფინეთი | 3 | 2 | 0 | 38 |

**შენიშვნა:** საბჭოთა კავშირის ნაკრებს დღეისათვის მოპოვებული აქვს უკვე 80 მედალი (29 ოქროს, 29 ვერცხლისა და 22 ბრინჯაოსი).

## თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმი



ეროვნული ბიბლიოთეკა

### აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1976–1977 სასწავლო წლისათვის დღის განყოფილებაზე, მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე:

1. ლითონების ჭრით დამუშავება (ქართული სექტორი),
2. სამრეწველო მოწყობილობათა მონტაჟი და რემონტი (ქართული, რუსული სექტორები),
3. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული სექტორი),
4. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (ქართული სექტორი),

ტექნიკუმში მიიღებიან 30 წლამდე ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება, შესაბამისი სპეციალობა, საჭირო კვალიფიკაცია და პედაგოგიური საქმიანობისადმი მიდრეკილება, მათ შორის: საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულები, მუშები, არანაკლებ ერთი წლის სპეციალობის შესაბამისი მუშაობის სტაჟით, ხოლო იმათთვის, ვინც 1976 წელს წარჩინებით დაამთავრა პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლები, საწარმოო სტაჟი საჭირო არ არის.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან: ლითონების ჭრით დამუშავების სპეციალობაზე — არანაკლებ მესამე თანრიგის საწარმოო კვალიფიკაციის მქონე ხარატები, მღარავები, სამრეწველო მოწყობილობის მონტაჟისა და რემონტის სპეციალობაზე არანაკლებ მესამე თანრიგის მქონე. სამრეწველო მოწყობილობის შემკეთებელი ზეინკლები, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობაზე არანაკლებ მესამე თანრიგის მქონე ხუროები, დურგლები, კალატოზები, კონსტრუქციის მემონტაჟე-კალატოზები, შემდუღებელ-მღარავები.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალობაზე — მესამე კლასის ტრაქტორისტ-მემანქანეები, მესამე თანრიგის მქონე სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებისა და ტრაქტორთა შემკეთებელი ზეინკლები, სატრაქტორო-საველე ბრიგადის ბრიგადირები, სამანქანო-სატრაქტორო პარკების ტექნიკური მომსახურების ოსტატ-გამმართველები.

სწავლების პერიოდში მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით, უფასო კვებით და ტანსაცმლით. ტექნიკუმის კურსდამთავრებულები სამუშაოდ განაწილდებიან პროფტექნიკური განათლების სასწავლებლებში.

ტექნიკუმში შემსვლელები გამოცდებს აბარებენ: 1. საკვალიფიკაციო სინჯს (შესაბამის სპეციალობაში), 2. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა), 3. მათემატიკა (ზეპირი).

ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება დირექტორის სახელზე (ფორმა №-2), 2. ატესტატი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), 3. ატესტატი პროფესიულ-ტექნიკური ან ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შესახებ, 4. პროფტექგანათლების ორგანოების მიმართვა მოსწავლის სასწავლებლად გაგზავნის შესახებ, 5. საგამოცდო ფურცელი, 6. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), 7. ფოტოსურათი (ზომა 3X4, გადაღებული უქუდოდ), 8. ცნობა მშთ-ს ჩაბარების შესახებ, 9. დაბადების მოწმობა ან პასპორტი. სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას და შრომის წიგნაკს ტექნიკუმში შემსვლელი პირადად წარმოადგენს.

საბუთების მიღება წარმოებს 15 აგვისტომდე, ხოლო მისაღები გამოცდები ჩატარდება 15 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.

15 მაისიდან დაიწყო მოსამზადებელ კურსებზე მეცადინეობა თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიურ ტექნიკუმში (ორჯონიკიძის ქ. № 49).

სწავლა დაიწყება 1 სექტემბრიდან.

ტექნიკუმის მისამართი: თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 49. ტელეფონი: 95-15-51, 95-82-52, 95-34-85.

## თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის საშუალო სკოლა-ინტერნატი



### აცხადებს მიღებას 1976–1977 სასწავლო წელს VIII კლასში

1. თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის საშუალო სკოლა-ინტერნატში ჩაირიცხებიან ის მოსწავლეები, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სკოლის 7 კლასი, იჩენენ განსაკუთრებულ მიდრეკილებას ფიზიკისა და მათემატიკის მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლისადმი და გასაუბრებისას გამოიჩენენ სათანადო ცოდნას შესაბამისი კლასის პროგრამის მიხედვით.

2. მისაღები გასაუბრება იწარმოებს 20 აგვისტოდან 28 აგვისტომდე.

3. მსურველებს შეუძლიათ განცხადებები შემოიტანონ 20 აგვისტომდე სკოლის კანცელარიაში ყოველდღე, გარდა კვირადღისა 15 საათიდან 17 საათამდე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ცნობა განათლების შესახებ, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 26 და № 191), ორი ფოტოსურათი ზომით 3X4, დამოწმებული სათანადო ორგანოების მიერ, მშობლების (უსათუოდ ორივეს) საქმიანობა, თვიური ხელფასი და ოჯახის შემადგენლობა.

სკოლა-ინტერნატის მისამართი: 380086. თბილისი —86, ვაჟა-ფშაველას პროსპ. № 49, ტელეფონი: 31-15-70.

---

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის სექტორის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ილია იორდანეს-ძე მირცხულავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ორი უკანასკნელი ათწლეული გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის დიდი მიღწევებით აღინიშნა — ათასობით ავადმყოფს, რომლებიც წინათ გარდაუვალად იღუპებოდნენ, ურთულესი ოპერაციების საშუალებით სიცოცხლეს უნარჩუნებენ. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ქირურგიული მკურნალობისათვის ნაკლებ მისაწვდომი იყო მცირეწლოვან და რამდენიმე თვის ბავშვთა თანდაყოლილი გულის მანკი. ორი კვირის ბალღს ვერ სთხოვ, ნუ ინძრევი, ძნელია წამლის შეყვანაც მის ვენაში. რთულია ერთი ბეწო ბავშვის გულზე ზუსტი, ეკონომიური ჭრილის გაკეთება. რა ინსტრუმენტები, რა თითებია ამისათვის საჭირო! ასეთი პატარა ნაადრევი შეღვენილობის და სხვა მოვლენების შესახებ. ჯანმრთელი ადამიანის მარჯვენა წინაგულისა და მარჯვენა პარკუჭის სისხლი 76 პროცენტ ჟანგბადს, გულის მარცხენა ნაწილების სისხლი 96 პროცენტ ჟანგბადს შეიცავს. ეს სხვაობა მუდამ შენარჩუნებულია. თუ ბავშვს გულის ორივე ნაწილის გამყოფ ტიხარში ხვრელი გაუჩნდა, ბუნებრივი წონასწორობა ირღვევა. როცა ზონდირების დროს ექიმი ამას აღმოაჩენს, უკვე იცის, რომ ტიხარში დეფექტი წარმოიშვა და საჭიროა მისი აღმოფხვრა.

ჯანსაღი გულის ღრუში დიდია აგრეთვე სისხლის წნევის განსხვავება — მარჯვენაში იგი ვერცხლისწყლის სვეტის 25 მმ-ს არ აღემატება, მარცხენაში 120 მმ-ს

# ოპერაცია დამთავრდა — სიცოცხლე გრძელდება

ოპერაციები ბავშვის მთელი მთავარი პრობლემაა.

— ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ სწამდათ, ახალშობილი ბავშვებისათვის ოპერაციის გაკეთება არ შეიძლება, უნდა დაველოდოთ, სანამ სამი წლისა გახდებიან, მაგრამ როგორ შეიძლებოდა ლოდინი, თუ ასეთი ავადმყოფების უმრავლესობა იხოცებოდა, სანამ ამ ასაკს მიაღწევდა. არა, ცხოვრება მოითხოვდა: ოპერაცია უფრო ადრე უნდა გაკეთდეს!

მიზნის მიღწევის გზაზე პირველი ნაბიჯი იყო პატარა გულის კვლევის საიმედო მეთოდების შექმნა, რომ ზუსტად ვიცოდეთ: რა მოხდა, გამართლებულია თუ არა ოპერაციის რისკი? გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ მიზანშეწონილი არ არის ყველა ბავშვს, რომელსაც თანდაყოლილი გულის მანკი აღმოაჩნდება, დაუყოვნებლივ გაუკეთდეს ოპერაცია, ზოგჯერ მოცდა ჯობს.

ადრეულ დიაგნოსტიკას დღეს ზონდირების მეთოდი უწყობს ხელს. საბოლოო ანგარიშით ყველა სისხლძარღვი ან გულს უერთდება, ან მისგან გამოდის, მაშასადამე, სისხლძარღვში შეყვანილი და ადვილად შესრიალებული თხელი ზონდი გულს გვერდს ვერ აუვლის. ქირურგი რენტგენის აპარატის საშუალებით თვალს ადევნებს ამ მილაკს, იკვლევს ღრუდან ამოღებულ სითხეებსა და გაზებს, და ბოლოს ხელთ აქვს უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია გულისშიდა წნევის სისხლის მოძრაობის, მისი გაზიანობის...

**როგორ ხდება გულის „შეკეთება"**

აღწევს. ეს ნორმალური შეფარდება ზოგჯერ ირღვევა (ამასაც ზონდირება გვიჩვენებს), მაშასადამე, სისხლის ნორმალურ დინებას რაღაც აბრკოლებს — შევიწროებულია ან ფილტვის არტერიის, ან აორტის ხვრელი. ორივე თანდაყოლილი მანკი ოპერაციას მოითხოვს.

ზოგიერთ ნაკლებგათვითცნობიერებულ მშობელს შვილი ეცოდება, უარს ამბობს გულის ზონდირებაზე, თუმცა ეს პროცედურა უმტკივნეულო, უსაფრთხოა და ხელს უწყობს დიაგნოზის დაზუსტებას.

გულის ჩვეულებრივი რენტგენული გამუქებისას გარკვევით მხოლოდ გარეთა კონტურები ჩანს. მაგრამ რა ხდება შიგნით? ახლა ექიმები უკვე ამის შესახებაც იღებენ დაწვრილებითს ინფორმაციას. ექიმს სისხლძარღვში შეჰყავს ნივთიერება, ელის, სანამ იგი სისხლთან ერთად გულთან მივიდოდეს, შემდეგ რთავს რენტგენის აპარატს და კინოდანადგარს. ამგვარად გადაღებული კინოფირის ნახვა ფასდაუდებელი დახმარებაა გულის მანკის კვლევის დროს.

მაგრამ აი დიაგნოზი დაზუსტებულია: საჭიროა ოპერაცია — სხვა გამოსავალი არ არის და აქ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ თავს იჩენდა ნარკოზის ყველა სიძნელე. დღეს ისინიც დაძლეულია — შეიქმნა ზუსტად დოზირებული ნარკოზის სავსებით საიმედო მეთოდები და ხელოვნური სუნთქვის სამედო აპარატები, რომლებიც, თუ საჭირო გახდა, ოპერაციის დროს მიძინებული ფილტვების მაგივრად „სუნთქავენ" — გარკვეული სიხშირით, საჭირო წნევით და დადგენილი მოცულობით აწვდიან და არიდებენ ჰაერს. მის ნაკადთან ერთად ექიმს შეუძლია წარმართოს ნარკოზული ნივთიერებების, წამლების ზუსტად დოზირებული რაოდენობაც. თუ ბავშვს ოპერაციის შემდეგ ჰაერის უკმარისობა წარმოეშვა, აპარატი ამ დროსაც გვეხმარება.

ზოგჯერ „შესაკეთებლად" საჭიროა ხოლმე გულის მუშაობის ცოტა ხნით შეწყვეტა. მაშინ ძარღვებში სისხლს ამოძრავებს მეორე აპარატი — ხელოვნური გულ-ფილტვები. მაგრამ მისი გამოყენება არცთუ ისე იოლია. ბევრი ბავშვი, განსაკუთრებით ისინი, ვინც 20 კგ-ზე მეტს იწონის, ცუდად იტანს ამას. ასეთ შემთხვევებში ექიმები მიმართავენ ჰიპოთერმიას — ორგანიზმის ხელოვნურ გაცივებას. ტემპერატურის შემცირებისას უჯრედების ჟანგბადზე მოთხოვნილება მკვეთრად კლებულობს.

ძნელია იმის თქმა, თუ რამდენი ავადმყოფი ბავშვის გული აძგერებულა რიტმულად ჩვენს ქვეყანაში ქირურგთა სკალპელის წყალობით! მაგალითისათვის მოვიყვან თუნდაც ჩვენი — ყაზახეთის ქირურგიის ინსტიტუტის გამოცდილებას. მარტო ამ ბოლო წლების მანძილზე ჩვენში გამოკვლეულია თანდაყოლილი გულის მანკით დაავადებული 3 წლამდე ასაკის 1000-ზე მეტი ბავშვი, აქედან ოთხას ბავშვს გაუკეთდა ზონდირება, სამასზე მეტს — წარმატებული ოპერაცია.

**ვ. სერგიევსკი,**
ყაზახეთის სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

(სანიტარიული განათლების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი).

## წერილი ესტონეთიდან

### ორი ქალაქის მეგობრობა

**ტყიბული.** (საკ. კორ.). კოხტლა-იარვე მეშახტეთა ქალაქია ესტონეთში. დიდი ხანი არ არის, რაც ტყიბულელებმა ამ ქალაქის მშრომელებთან ძმური, მეგობრული კავშირი გააბეს. ესტონელები და ქართველები ერთმანეთს ატყობინებენ თავიანთ წარმატებებს, იმას, თუ როგორ იბრძვიან პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ამ დღეებში კოხტლა-იარვეს დაარსების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში აქტიური მონაწილეობა მიიღო კურსების სასოფლო კლუბთან არსებულმა ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა. დიდი მუსიკალური კულტურის მქონე ესტონელმა მაყურებელმა მოიწონა ქართული ხალხური სიმღერები. ამას ადასტურებს წერილი, რომელიც პარტიის კოხტლა-იარვეს საქალაქო კომიტეტმა გამოგზავნა ტყიბულში. ესტონელი მეგობრები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ კურსებელთა წარმატებით გამოსვლის გამო.

**ვ. ცირეკიძე.**

## მწყობრში ჩადგა

**ამბროლაური.** (საკ. კორ.). დამონტაჟდა და მწყობრში ჩადგა ათასნომრიანი ავტომატური ტელეფონის სადგური. მალე სადგურის ქსელში ჩაერთვება ის სოფლები, რომელთაც დამოუკიდებელი ავტომატური ტელეფონის სადგურები აქვთ, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს ტელეფონით მშრომელთა მომსახურებას.

## ახალი მოსავლის კონსერვები

**ცხაკაია.** (საკ. კორ.). საკონსერვო ქარხანა (დირექტორი ი. ჩანტლაძე) შეუდგა ახალი მოსავლის გადამუშავებას — კურკოვანი ხილისა და ციტრის კონსერვირებას.

შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის დამონტაჟდა ახალი ტიპის სახუფი მანქანა, გაკეთდა წვენის ცვლად ჩამოსხმის ხაზი.

**ზ. მილიუტინი.**

## ამინდი

გუშინ, 13 საათისათვის დასავლეთ საქართველოში ყველგან უნალექო ამინდი იდგა. დაბლობ რაიონებში ტემპერატურა 25-27 გრადუსი იყო, მთაში — 22-26 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოშიც ყველგან უნალექო ამინდი იყო. დაბლობ რაიონებში თერმომეტრი 28-30 გრადუსს უჩვენებდა, მთაში — 20-24 გრადუსს. გუშინ 13 საათისათვის თბილისში 30 გრადუსი სიცხე აღინიშნა.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია უნალექო ამინდი, სუსტი ქარი, დაბლობ რაიონებში ტემპერატურა 27-32 გრადუსი იქნება, მთაში — 21-26 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში ზოგან მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, დასავლეთის ქარი, მტკვრის ხეობაში 7-12 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 28-33 გრადუსს მიაღწევს, მთაში — 20-25 გრადუსს.

თბილისში უნალექო ამინდია მოსალოდნელი, იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი — 3-7 მეტრი წამში, ტემპერატურა 31-33 გრადუსი იქნება.

## ჭადრაკი

### თორმეტი ტურის შემდეგ

**შვეიცარიის** ქალაქ ბილის საზონათაშორისო ტურნირზე დამთავრდა გადადებული პარტიები და ახლა თორმეტი ტურის შემდეგ შევსებულია ცხრილის ყველა უჯრედი.

შეჯიბრებას დანიელი ლარსენი ლიდერობს, რომელსაც 9 ქულა აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან სმისლოვი (მან პირველი დამარცხება განიცადა ამერიკელ ბირნთან), უნგრელი პორტიში, ბირნი და ჰიუბნერი (გფრ) — 7,5 ქულა თვითეულს. პეტროსიანს აქვს 7 ქულა, ტალს, ჩეხოსლოვაკიელ სმეიკალს, უნგრელ ჩომს და არგენტინელ სანგინეტის — 6,5, გულკოს — 6, გელერს — 5,5 ქულა.

ჩასატარებელი დარჩა კიდევ შვიდი ტური.

## დევისის თასზე

**გუშინ** ლონდონში დამთავრდა სსრ კავშირისა და ესპანეთის ჩოგბურთელთა ნახევარფინალური მატჩი დევისის თასზე (ევროპის „ა" ზონა). საბჭოთა ჩოგბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1 და ახლა აგვისტოს შუა რიცხვებში შეხვდებიან უნგრეთის გუნდს.

## ახლა კი ფინალი

**დამთავრდა** ფეხბურთში საქართველოს პირველობის წინასწარი ტურნირის შეხვედრები ორივე ზონაში. აღმოსავლეთ ზონაში წინ არის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი — 31 ქულა 20 მატჩიდან. მეორე ადგილზეა თელავის „ნადიკვარი" — 30 ქულა.

დასავლეთ ზონაში პირველ ადგილზეა მახარაძის „მერცხალი" — 29 ქულა 22 შეხვედრიდან. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ტყიბულის „მეშახტე" — 28 ქულა და გეგეჭკორის „სალხინო" — 27 ქულა.

ახლა ამ ორი ზონის 18 კოლექტივი ორ წრედ გაითამაშებს რესპუბლიკის ჩემპიონის წოდებას.

## „სპორტლოტო"

„სპორტლოტო": 18 (რიკტაფელა), 21 (ცხენოსნობა), 29 (საპარაშუტო სპორტი), 26 (მოტობოლი), 38 (მშვილდოსნობა), 15 (წყალბურთი).

„სპორტლოტო-2": 20 (ნიჩბოსნობა ბაიდარებითა და კანოეთი), 36 (სლალომი), 2 (ავტოსპორტი), 8 (კრივი), 40 (ტურიზმი), 37 (სროლა). (საკდესი).

# მიზანი — შეფობის გაძლიერება

**საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა** სამინისტროს კოლეგიამ და კულტურის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება „მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების ურთიერთმოქმედების და კულტურულ-საშეფო მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ".

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების შემოქმედებით კავშირებსა და ორგანიზაციებს თავიანთი წვლილი შეაქვთ შინაგან საქმეთა ორგანოების პირადი შემადგენლობის იდეურ-პოლიტიკურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდაში, ეწევიან პოლიტიკური ცოდნის, მხატვრობის, მუსიკის, კინოს, ლიტერატურის ნაწარმოებთა ფართო პროპაგანდას.

აღნიშნულია აგრეთვე კულტურული შეფობის შემდგომი განვითარების აუცილებლობა, რაც ნაკარნახევია სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით. მით უფრო, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების პირადი შემადგენლობა აქტიურად ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისა და საბჭოთა მილიციის შექმნის მე-60 წლისთავის შესახვედრად.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ და კულტურის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა საუწყებო აპარატებს დაავალეს მიიღონ ყველა საჭირო ზომები ქალაქებსა და რაიონებში კულტურული შეფობის გაძლიერებისათვის, აამაღლონ სახალხო უნივერსიტეტების, კულტურის ლექტორიუმების მუშაობის დონე, შეიმუშაონ პერსპექტიული გეგმები შინაგან საქმეთა ორგანოების და ქვეგანაყოფების პირადი შემადგენლობის იდეურ-პოლიტიკურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდაში კულტურულ-საშეფო დახმარების გაძლიერებისათვის.

საბჭოთა მილიციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად სამხატვრო გალერეაში მოეწყობა რესპუბლიკური გამოფენა „მუდამ სადარაჯოზე", რომელშიც წარმოდგენილი იქნება შინაგან საქმეთა ორგანოების ისტორიის და თანამედროვე საქმიანობის, თანამშრომელთა საგმირო საქმეებისა და კეთილშობილური მოქმედების, მათი მაღალი მორალური თვისებების, ხალხთან უწყვეტი კავშირის ამსახველი ნაწარმოებები.

**პ. შარმაზიანი,**
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკი.

# მიეზღოთ

## სასამართლოს დარბაზიდან

**ზოფერმა** თ. ლოლუამ შეიტყო, რომ ქალაქ ფოთის სასამართლო არქივის შენობაში დროებით ინახებოდა ნივთიერი მტკიცებულებანი — დიდი თანხის სხვადასხვა საქონელი. სწორედ მისი მოპარვა გადაწყვიტა თ. ლოლუამ.

წინასწარ შეიმუშავა გეგმა, რომლის განსახორციელებლად თანაშემწეებად ე. სვანიძე, თ. როყვა და თავისი ბიძაშვილი ზ. ლოლუა აიყვანა. თ. ლოლუამ პურის საზიდი სპეციალური ავტომანქანის მძღოლ ს. ცომაიას, ვითომდა ახლომდებარე პანაშვიდზე წასასვლელად, მანქანა გამოსტყუა.

და როცა უდროო დროს სასამართლოს შენობის წინ გაჩერდა მანქანა წარწერით „პური", ამას არავის ეჭვი არ გამოუწვევია. იქვე ახლოს ხომ პურის მაღაზიაა. დამნაშავეებმა გატეხეს სასამართლო არქივის კარი და გამოიტანეს 25.000 მანეთის სხვადასხვა საქონელი. ნაძარცვი მანქანაზე დაუდეს და დაუბრკოლებლად მივიდნენ მეცტრუსეობის საბჭოთა მეურნეობამდე, სადაც წინასწარ შეთვალიერებულ მყუდრო ადგილას გადამალეს.

იქიდან ნაძარცვი ქურდებმა უფრო შორს გადაიტანეს და ერთ-ერთ სოფელში ტაქსის მძღოლის ვინმე ნ. წულაიას სახლის სხვენში შეინახეს. ეს მძღოლიც ჩათრეული იყო დანაშაულებრივ ბანდაში.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეებმა ყოველნაირად სცადეს დანაშაულის კვალი გაექროთ და ნაძარცვით ესარგებლათ, ეს მაინც ვერ მოახერხეს. ისინი მხილებული არიან და სასამართლოს წინაშე წარდგნენ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გ. სვანიძის თავმჯდომარეობით თ. ლოლუას მიუსაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, ე. სვანიძესა და თ. როყვას — ათ-ათი წლით თავისუფლების აღკვეთა და ქონების კონფისკაცია. ზ. ლოლუასა და ნ. წულაიას — ოთხ-ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა.

(საქინფორმი).

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### ტელევიზია

### 29 ივლისი

#### პირველი პროგრამით

10.35 — მხატვრული ფილმი „ამ ფანჯრებთან" — ფერადი გამოსახულებით, 12.00 — XXI საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე — ფერადი გამოსახულებით, 14.00 — „მუსიკალური შეხვედრები" — ფერადი გამოსახულებით (განმეორებით), 17.05 — ბავშვებისათვის — ფერადი მხატვრული ფილმი „დიდი მომთვინიერებელი", 18.15 — ბავშვებისათვის კონცერტი — „მხიარული დასვენება", 18.45 — განცხადებები, 18.50 — „ეფექტიანობა და ხარისხი — მთავარი საზრუნავი", 19.10 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 19.50 — „ღრმად შევისწავლოთ", 20.10 — „სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „საერთაშორისო დღიური" — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — XXI საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე. ფერადი გამოსახულებით.

#### მეორე პროგრამით

19.10 — მხატვრული ფილმი „კოლონა", I სერია (ქართულ ენაზე).

### რადიო

### 30 ივლისი

#### პირველი პროგრამით

06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.30 — საოპერო მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — გ. ციციშვილი — სონატა ფლეიტისა და ფორტეპიანოსათვის, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ჟ. ბიზე — სუიტა „არლელი ქალი", 11.45 — „იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობა", 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — ხალხური ლექსები, 12.45 — კონცერტი, 13.10 — XXI საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — მოლდავური სიმღერები, 13.50 — მოსწავლეებისათვის — გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება" — უკრავს მ. დისტერი, 17.40 — მოსწავლეებისათვის ა. უზუნოვის მოთხრობა „შეცდომა", 18.10 — ქართული ხალხური მუსიკა, 18.45 — ს. როტარუს კონცერტი, 19.00 — „მეათე ხუთწლედი — წელი პირველი", 20.30 — რადიოჟურნალი „თქვენთვის, ცნობისმოყვარულებო!", 21.00 — „ძილისპირული", 21.10 — ო. თაქთაქიშვილი — კამერული მუსიკა, 22.00 — „ქართული ლექსი აფხაზეთში", 23.30 — ესტრადის ოსტატთა კონცერტი.

რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი.**

კომუნისტი

380096 თბილისი-96, ლენინის 24. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-08-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-30, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54,

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 [illegible] 08976

[illegible] გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14